N 2834 2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №1171 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის №1171 განკარგულებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის საფუძველზე, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე საბაჟო-გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ, მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (შემდგომში – დეპარტამენტი) 2015-2016 წლებში უზრუნველყოს:

ა) საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე საბაჟო-გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ „საევაკუაციო ნაგებობების“ მოწყობის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა;

ბ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დეპარტამენტისათვის „გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის“ მუხლით (პროგრამული კოდი – 25 02 02) განსაზღვრული ასიგნებებიდან, ხოლო 2016 წელს განსახორციელებელი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების დაფინანსება შესაბამისი წლის ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება პროექტირების პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად;

ე) წინადადების წარდგენა იმ უწყების განსაზღვრისათვის, რომელსაც „საევაკუაციო ნაგებობები“ გადაეცემა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდგომ.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**